

საკვებიდანამატი “ჩვენი ფაქიზო” food additive “Chveni Phaqizo”

საკვები დანამატი, პროდუქტიულობის ასამაღლებელი, რძის მოსამატებელი ეფექტური საშუალება მეწველი ძროხებისათვის
მწარმოებელი: შპს “ბიოტექსი”, საქართველო
ზოგადი ცნობები

საკვები დანამატი “ჩვენი ფაქიზო” ვიტამინურ-მინერალური კომპლექსითა და ცოცხალი საფუარის შემცველობით გამოიყენება როგორც პროდუქტიულობის ასამაღლებელი, რძის მოსამატებელი ეფექტური საშუალება მეწველი ძროხებისათვის

შემადგენლობა, ერთი პაკეტი შეიცავს: ვიტამინებს (A, D₃, E, B₁, B₂, B₆, B₁₂, C, K₃), მინერალებს (Ca, P, NaCl, KCl, CaI₂, MgSO₄), მიკროელემენტებს (Fe, Cu, Mn, Zn, Co), ცოცხალ საფუარს *Saccharomyces cerevisiae*-ს მოქმედებით 12×10^{11} კწე / კგ-ზე
გამოშვების ფორმა: დაფასოებულია 250გ პაკეტებში

შენახვის პირობები: ინახება მწარმოებლის შეფუთვაში მშრალ, გრილ და მზისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას

ვარგისობის ვადა: 2 წელი

ბიოლოგიური თვისებები

საკვები დანამატი “ჩვენი ფაქიზო” წარმოადგენს ბუნებრივი ნივთიერებებისგან მიღებულ პროდუქტს, რომელიც გამიზნულია მეწველი ძროხის საკვების დასაბალანსებლად, მის შემადგენლობაში იდეალურადაა შერწყმული ვიტამინურ-მინერალური დანამატები, მიკროელემენტები და ცოცხალი საფუარი ერთნაერთთან, მათი სინერგიული მოქმედება ხელს უწყობს წველადობის გაუმჯობესებას, სასარგებლო ბაქტერიების ზრდას და ეწინააღმდეგებიან პათოგენური მიკრობების გამრავლებას. აჩქარებს მეტაბოლიზმს, აუმჯობესებს მადას, აწესრიგებს საჭმლის მონელებას.

გამოყენების ჩვენებები, დოზირება

საკვებდანამატი “ჩვენი ფაქიზო” პროდუქტიულობის ასამაღლებელი საშუალება, გამოიყენება როგორც პროდუქტიულობის ასამაღლებელი, წველადობის გამაუმჯობესებელი, რძის მოსამატებელი საშუალება მეწველი ძროხებისათვის.

ასევე გამოიყენება მეხორცული და მერძეული მიმართულების ძროხების საკვების დასაბალანსებლად.

- ფაშვში ცოცხალი საფუარის ხარჯზე ზრდის აქროლადი ცხიმების სინთეზს;
- ხელს უწყობს ფაშვში სასარგებლო ბაქტერიების ზრდას, მიკროფლორის აღდგენასა და გააქტიურებას
- არეგულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას და აუმჯობესებს საკვების ბიომეღწევადაობას.

- არეგულირებს რუმინატორულ და სისტემურ აციდოზს;
- აბალანსებს ამიაკის კონცენტრაციას ფაშვში
- ზრდის პროდუქტიულობას (წველადობა, წონამატს)
- საუკეთესოა პოსტგაქცინალური და ტემპერატურული სტრესების დროს
საკვები დანამატი ერევა ძირითად საკვებს, ერთი პაკეტი 250გრ /30 კგ საკვებში.

IV პირადი პროფილაქტიკა

მუშაობის დროს უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესები, გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (სპეცტანსაცმელი, დამცავი სათვალე, რესპირატორი). პროცედურის დასრულების შემდეგ დაიბანეთ ხელები, სახე თბილი წყლითა და საპნით.